სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

ცენტრის საკოორდინაციო საბჭოსთან შეხვედრის ოქმი N1

31 მაისი, 2021 წელი

მიმდინარე წლის 31 მაისს ცენტრის განახლებული საკოორდინაციო საბჭოს პირველი შეხვედრა შედგა. ქვეყანაში არსებული პანდემიის გათვალისწინებით, აღნიშული შეხვედრა პლატფორმა Zoom-ის გამოყენებით ონლაინ რეჟიმში გაიმართა. შეხვედრას საკოორდინაციო საბჭოს განახლებულ შემადგენლობასთან ერთად ესწრებოდნენ ცენტრის დირექტორი თამარ მახარაშვილი, დირექტორის მოადგილეები ლაშა მარგიშვილი და კახაბერ ერაძე, ცენტრის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და თანამშრომლები.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ საკოორდინაციო საბჭოს შემდეგი წევრები:

ა) **ჰელი მატისენი** - ესტონეთის უმაღლესი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს (EKKA) დირექტორი;

ბ) **კაი ეტზოლდი** - უმაღლესი განათლების სფეროს საერთაშორისო ექსპერტი;

გ) **მაია შუხოშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის უმაღლესი განათლების სამმართველოს უფროსი;

დ) **შალვა მეკრავიშვილი** - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის "ეროვნული სასწავლო გეგმა დანერგვა და მონიტორინგი" პროგრამის "ეროვნული სასწავლო გეგმის განვითარება ქვეპროგრამის" ფარგლებში სამოქალაქო განათლების ექსპერტი;

ე) **რუსუდან სანაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი;

ზ) **ანასტასია ქიტიაშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი;

თ)**თეა გულუა** - გაეროს განვითარების პროგრამის ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი, პროფესიული განათლების ექსპერტი;

ი)**მაკა აბულაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციის ასოციაციის წარმომადგენელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი;

კ) **კახაბერ ჭელიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკის შინაგანი მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ლ) **ირმა ქურდაძე** - სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

მ) **ნათია ჯოჯუა** - შპს „ევროპის უნივერსიტეტი“-ს პროფესორი, მედიცინის ფაკულტეტის დეკანი.

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრას არ ესწრებოდა **ზაზა ფურცელაძე** - ბრიტანეთის საბჭოს დირექტორი სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომა 12:00 საათზე დაიწყო და 14:40 საათზე დასრულდა. შეხვედრა დღის წესრიგის დაცვით წარიმართა. დღის წესრიგი იხილეთ დანართში.

შეხვედრა ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს განახლებულ შემადგენლობასთან დაიწყო ცენტრის დირექტორის მისალმებით და მილოცვით. მან მადლობა გადაუხადა საბჭოს თითოეულ წევრს იმ დიდი პასუხისმგებლობისთვის, რომელიც მათ ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში ჩართულობით ეკისრებათ. მან ასევე ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საბჭოს აღნიშნული შემადგენლობა საქმიანობას სრულიად განახლებული ფუნქციებით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების შესაბამისად შეუდგება. როგორც ცენტრის დირექტორმა აღნიშნა, ცენტრისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა. მან ასევე აღნიშნა, რომ საკოორდინაციო საბჭოში წარმოდგენილნი არიან როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო დონის კვალიფიციური წევრები, რომელთაც განათლების სისტემის სიღრმისეული ცოდნა აქვთ და კარგად ესმით ქართული განათლების სისტემის სპეციფიკა. ცენტრს მათი ჩართულობა დაეხმარება გადაწვეტილებების მიღებაში როგორც მიკრო, ასევე მაკრო დონეზე.

ცენტრის დირექტორმა წარადგინა საკოორდინაციო საბჭოს თითოეული წევრი. ისინი მიესალმნენ შეხვედრის მონაწილეებს, მადლობა გადაუხადეს ნდობისთვის და ხაზი გაუსვეს, იმ ფაქტს, რომ მათთვის დიდი პასუხისმგებლობა და პატივია საკოორდინაციო საბჭოს წევრობა. ჰელი მატისენმა აღნიშნა, რომ თვინინგის პროექტში მონაწილეობა მისთვის საინტერესო ეტაპი იყო. პროექტის დასრულების შემდეგ საბჭოში მისი ჩართულობა იმ თანამშრომლობის და მეგობრობის გაგრძელებაა, რომელიც წლებია ესტონეთსა და საქართველოს შორის არსებობს და იმედოვნებს, რომ ეს მეგობრობა წვლილს შეიტანს ცენტრის მომავალ განვითარებაში. კაი ეტზოლდმა აღნიშნა, რომ მისთვის ამ საბჭოს წევრობა დიდი პატივია და ის გეგმავს, რომ ამ პლატფორმიდან მხარი დაუჭიროს საქართველოს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას. მაია შუხოშვილმა აღნიშნა, რომ შთამბეჭდავია საბჭოს შემადგენლობა და ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ყველას სხვადასხვა პოზიციიდან ერთი მიზანი აერთიანებთ და ეს მიზანია განათლების ხარისხზე ზრუნვა. საბჭოს წევრები მიესალმნენ ცენტრის მზაობას იმასთან დაკავშირებით, რომ გაიზარდოს საკოორდინაციო საბჭოს როლი ცენტრის განვითარების პროცესებში.

საბჭოს წევრებთან მისალმების შემდეგ, თამარ მახარაშვილმა წარადგინა ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგია და მისი მიზნები. ცენტრის დირექტორმა თითოეული მიზნის მიმოხილვისას ხაზი გაუსვა იმ ძირითად ამოცანებს, რაც ცენტრმა სტრატეგიის განსაზღვრულ პერიოდში უნდა განახორციელოს.

ცენტრის დირექტორის პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, კითხვა-პასუხისთვის გამოყოფილ დროს რუსუდან სანაძემ ითხოვა იმის დაზუსტება, რომ სამოქმედო გეგმის

შემუშავების პროცესის გარდა, მისი სამიზნე ნიშნულების დაზუსტების და დაკორექტირების ეტაპებიც იქნება თუ არა საბჭოს ფუნქცია. დირექტორმა დაუდასტურა, რომ ნებისმიერ ეტაპზე, სამოქმედო გეგმის განხორციელების შეფასების ნაწილის შემდეგ შესაძლებელია დადგეს სამოქმედო გეგმის გადახედვის საჭიროება და ამ მიმართულებით საბჭოს მოუწევს პროცესში ჩართულობა.

შეხვედრის მეორე ნაწილში დირექტორის მოადგილემ კახაბერ ერაძემ ზოგადი და პროფესიული განათლების მიმართულებით 2021 და შემდეგ წლებში დაგეგმილი აქტივობების შესახებ წარადგინა პრეზენტაცია. ბატონ კახაბერ ერაძის პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, კითხვა-პასუხის ფორმატში შალვა მეკრავიშვილმა დასვა კითხვა ალტერნატიული სასკოლო კურიკულუმების შესახებ, იმასთან დაკავშირებით არის თუ არა უკვე მონახაზი თუ რას უნდა გულისხმობდეს ალტერნატიული სასკოლო კურიკულუმები. ამ კითხვის პასუხად, დირექტორის მოადგილემ ახსნა, რომ ეს იქნება ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული სტრუქტურის, უფრო სწავლის შედეგებზე ორიენტირებული კურიკულუმის შემოღება, სავალდებულო იქნება ესგ-ს მაკრო მიზნები, სკოლას კი სრული თავისუფლება ექნება საკუთარი არჩეული გზით გავიდეს ამ მაკრო მიზნებზე. მანვე აღნიშნა, რომ ესგ-ში მოხდება ამ მაკრო მიზნების დეკლარირება.

შემდეგი კითხვა დასვა ანასტასია ქიტიაშვილმა, მას აინტერესებდა ექსპერტების ჭრილში ხომ არ იგეგმება მკაფიო სამუშაო აღწერილობების შემუშავება, რადგან მათი საქმიანობა ეთიკის ზღვარზეც კი გადის. მან აქვე აღნიშნა, რომ მისი სუბიექტური აზრით, ბოლო პერიოდში უმჯობესდება ეს მიმართულება. ამასთან დაკავშირებით ბატონმა კახამ აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების ნაწილში, გაეროს განვითარების პროგრამის დახმარებით შეიქმნა სამუშაო აღწერილობა, ამას დაეფუძნა ექსპერტის ტრენინგის პროგრამა. უწყვეტი განვითარების მიმართულებით კი ეს აქტივობები გრძლევადიანი იქნება, რათა მათ ექსპერტის სტატუსი შეინარჩუნონ. ეს იქნება მუდმივი განვითარების პროცესი. ასევე შემუშავებულია მათი საქმიანობის კონცეფცია, რომელიც მთლიანად ეფუძნება მათ პროფილს, შეფასდებიან როგორც პროფესიული, ასევე პიროვნული უნარების მიმართულებით. უმაღლესი განათლების ნაწილში დირექტორის მოადგილემ ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა კორპუსის მიმართულებით ცენტრმა ავტორიზაციის ექსპერტებთან იმუშავა და 2021-2022 წლებში დაგეგმილია აკრედიტაციის ექსპერტებთან მუშაობა, ასევე ატესტაციის განხორციელება დარგების და მიმართულებების მიხედვით, რადგან 2022-2023 წლიდან იგეგმება კლასტერულ აკრედიტაციის დანერგვა. ასევე, სტუდენტი ექსპერტებისთვის ჩატარდა ტრენინგები.

ირმა ქურდაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა სერტიფიცირების 10 ეტაპიანი კონკურსი კომპლექსური იყო და მაღალ დონეზე ჩატარდა. დამატებით საბჭოს წევრი და სტუდენტი ექსპერტი მაკა აბულაძე გამოეხმაურა ანასტასია ქიტიაშვილის კითხვას და აღნიშნა, რომ ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგის დროს, ეთიკის საკითხს დიდი დრო დაუთმეს და ამ მიმართულებაზე ცენტრმა გაამახვილა ყურადღება. ანასტასია ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ მის პრაქტიკაში ექსპერტებს აქვთ საგნობრივი ცოდნა, მაგრამ კომუნიკაციაში აქვთ პრობლემა, თუმცა აქვე დაამატა, რომ ამ მიმართულებით მდგომარეობა ბოლო პერიოდში გამოსწორდა.

შეხვედრის შემდგომ ეტაპზე, დირექტორის მოადგილემ ლაშა მარგიშვილმა წარადგინა პრეზენტაცია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით 2021 წლის პრიორიტეტებზე.

შეხვედრის შემდეგი ნაწილი დაეთმო კითხვა-პასუხს. ანასტასია ქიტიაშვილმა დასვა კითხვა იმასთან დაკავშირებით, რომ მაშინ როცა უმაღლეს განათლებაში არაა სტანდარტული კურიკულუმები, როგორ უნდა მოხდეს ბალანსის დაცვა, რომ ერთი მხრივ იყოს ჩარჩოები, გარკვეული სტანდარტიზება და მეორე მხრივ, არ შეიზღუდოს პროგრამის ავტორების თავისუფლება და გაიზარდოს მისი ხარისხი. ამასთან დაკავშირებით, დირექტორის მოადგილემ ლაშა მარგიშვილმა უპასუხა, რომ დარგობრივი მახასიათებლები იქნება ზოგადი ხასიათის და პროგრამის ხელმძღვანელს აუცილებლად მისცემს საშუალებას, რომ თავის ნოუ ჰაუ დაამატოს პროგრამას და ამასთანავე ჰქონდეს განმასხვავებელი ნიშნები. როგორც ცნობილია, აკადემიური თავისუფლება და ავტონომიურობა საქართველოში კონსტიტუციითა გაწერილი. ბუნებრივია ვერც სტანდარტი და ვერც დარგობრივი მახასიათებელი კონსტიტუციასთან ვერ მოვა წინააღმდეგობაში, შესაბამისად, მუდმივად იქნება ეს ოქროს ხაზი. დირექტორმა ასევე დაამატა, რომ მას შემდეგ, რაც დარგობრივი მახასიათებლის მინიმალური სტანდარტი სარეკომენდაციო სახის იქნება, იმ ჯგუფიდან, რომელიც ქმნის დარგობრივ მახასიათებელს გამოიყოფა კონკრეტული სამუშაო ჯგუფი, რომლის მოვალეობაცაა ერთი მხრივ განმახორციელებელ დაწესებულებებთან ჩაატაროს შესაბამისი ტრენინგები და მათ იცოდნენ მოძრაობის რა საშუალება აქვთ. იგივე ტრენინგები ტარდება ექსპერტებისთვისაც. ამავე ფორმატში კაი ეტზოლდმა კლასტერული აკრედიტაციის პილოტირების მიმართულებით აღნიშნა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ექსპერტებს შორის კონკრეტული მიმართულების საერთო გაგება. მაგალითად, თუ საუბარია ისტორიაზე, აქ უნდა იყოს ნათელი ყველა ექპერტისთვის თუ რა იგულისხმება მასში. ლაშა მაჭარაშვილმა დაამატა, რომ როცა სისტემა სრულად გადავა კლასტერულ აკრედიტაციაზე, ამის მიღწევა შემდეგ იქნება შესაძლებელი. მომდევნო კითხვა რუსუდან სანაძემ დასვა იმასთან დაკავშირებით, დაგეგმილია თუ არა პორტალის, ან ერთიანი სივრცის შექმნა, რომელიც ინტიტუტებს მონიტორინგის შესაძლებლობას მისცემს იმის შესახებ თუ როდისაა მოსალოდნელი აკრედიტაცია, ავტორიზაციისთვის რა წინაპირობებია და ა.შ. დაგეგმვისთვის ეს იქნებოდა ერთგვარი ხელსაწყო, რომელიც ცენტრალიზებულად იქნებოდა მართული და ინსტიტუციებს დაეხმარებოდა. დირექტორმა უპასუხა დასმულ კითხვას და აღნიშნა, რომ ეს საკითხი სცდება ცენტრის კომპეტენციას, თუმცა მან ამ მიმართულებით საკითხის მოკვლევა საბჭოს ინფორმირებისთვის ცენტრის თანამშრომლებს დაავალა.

შეხვედრის ბოლო ნაწილი დაეთმო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევას და ცენტრის გარკვეული ფუნქციების ცენტრიდან გატანის საკითხს. ცენტრის დირექტორმა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევის საკითხი დააყენა. კანდიდატურა საბჭოს წევრმა მაია შუხოშვილმა წამოაყენა და მან რუსუდან სანაძე დაასახელა. საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს საკოორდინაცო საბჭოს თავმჯდომარედ რუსუდან სანაძის არჩევას.

საბჭოსთვის განსახილველად დირექტორის მოადგილემ, კახაბერ ერაძემ წამოაყენა საკითხი ა(ა)იპ უნარების სააგენტოს დაფუძნების გამო ცენტრის დებულებაში საჭირო ცვლილებების ინიცირების შესახებ. კახაბერ ერაძემ ცენტრის დებულების მე-5[1] მუხლის და მე-7 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს სთხოვა თანხმობა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავების კოორდინაციის ფუნქციის ცენტრის დებულებიდან ამოღების შესახებ, რადგან აღნიშნული ფუნქციის შესრულება დაევლა ახლადშექმნილ ა(ა)იპ უნარების სააგენტოს და აღნიშნული ფუნქცია გადაცემულია ახლადშექმნილი სააგენტოსთვის. მისივე თქმით ასევე უნდა გადაიხედოს ცენტრის სტრატეგია, სამოქმედო გეგმა და ამოღებულ იქნას შესაბამისი აქტივობები, ასევე აქტივობები, რომლებიც პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით ეროვნული და საერთაშორისო დონის კონკურსებისა და შეჯიბრებების ორგანიზებას და კოორდინაციას ეხება. საკოორდინაციო საბჭომ ერთხმად (11 ხმა) თანხმობა განაცხადა ცენტრის დებულებაში ცვლილების შეტანასა ცენტრის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის რედაქტირებაზე.

სხდომის თავმჯდომარე:

რუსუდან სანაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელი, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტი.

სხდომის მდივანი:

მაკა აბულაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციის ასოციაციის წარმომადგენელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი; სტუდენტი ექსპერტი.

დანართი: 4 დანართი

დანართი 1. დღის წესრიგი:

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის
საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო შეხვედრა
31 მაისი, 2021 წელი
12:00 - 14:30: დღის წესრიგი

12:00 - 12:30 მისალმება, საბჭოს წევრების გაცნობა - თამარ მახარაშვილი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი;

12:30 - 13:00 განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიული მიზნები და ამოცანები. საკოორდინაციო საბჭოს როლი და ფუნქციები - თამარ მახარაშვილი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი;

13:00 - 13:15 კითხვა-პასუხი;

13:15 - 13:35 ზოგადი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება: 2021 წლის პრიორიტეტები - კახაბერ ერაძე, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;

13:35 - 13:50 კითხვა-პასუხი;

13:50 - 14:10 უმაღლესი განთლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება: 2021 წლის პრიორიტეტები - ლაშა მარგიშვილი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;

14:10 -14:30 კითხვა-პასუხი.

დანართი 2: პრეზენტაცია: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიული მიზნები და ამოცანები. საკოორდინაციო საბჭოს როლი და ფუნქციები.
დანართი 3: პრეზენტაცია: ზოგადი და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება: 2021 წლის პრიორიტეტები.
დანართი 4: პრეზენტაცია: უმაღლესი განთლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება: 2021 წლის პრიორიტეტები.